განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თავმჯდომარე: ციური დურული - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი;
წევრები:
ფრიდონ გოგიაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი;
ინგა ბოჭოიძე- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

--

თბილისი,

2019

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **206155328**

სახე:

- [x] **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [ ] საზოგადოებრივი კოლეჯი

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N94 ბრძანების (01.02.2019) საფუძველზე შექმნილმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2019 წლის 14-15 თებერვალს შეამოწმა **შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში** საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლოატაციის (CPL) მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

უნივერსიტეტში პროფესიული და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების გარდა, ხორციელდება სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამები, აგრეთვე სასერტიფიკატო კურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

თბილისი,

2019

უნივერსიტეტი პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს დაწესებულების ორ იურიდიულ მისამართზე: თბილისში, ქეთევან წამებულის ქ. N16 -სა და თელავში, სოფ. კურდღელაურში, „მიმინოს" აეროპორტზე.

დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსის გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლოატაციის (CPL) მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ გამოიწვევს უსდ ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევას.

უნივერსიტეტს გამიჯნული აქვს უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირებისათვის აუცილებელი შიდა რეგულაციების შესაბამისი დოკუმენტები და სხვადასხვა აქტები, თუმცა აღნიშნულ რეგულაციებში არა არის ასახული მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, რაც რეკომენდირებულია დაუყოვნებლივ განხორციელდეს.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფი მუშაობდა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით (იხ.დანართი 1).

ჯგუფის წევრების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამა, ფართისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საბიბლიოთეკო ფონდი, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები, სტუდენტთა პორტფოლიოები, სტუდენტთა რეესტრის მონაცემები, მემორანდუმები/ხელშეკრულებები პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და პრაქტიკის ობიექტებთან, დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტაცია და სხვ.

ვიზიტის მსვლელობისას ჩატარდა შეხვედრები რექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროფესიული პროგრამების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ბიბლიოთეკართან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ინსტრუქტორებთან, რეესტრზე პასუხისმგებელ პირთან, ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან.

ვიზიტმა საქმიან და კოლეგიალურ ვითარებაში ჩაიარა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

--

თბილისი,

2019

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

--

თბილისი,

2019

	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.			
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების,	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

	სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;			
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**		
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

--

	მიღებული განათლების აღიარების წესები			
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**		
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**		
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**		
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

--

თბილისი,

2019

	საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:			
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**		
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**		
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**		
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი,

2019

	მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;			
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**		
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი,

2019

	გეგმა;			
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**		
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**		
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**		
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**		
2.9	შემუშავებულია	**მუხლი 7 /**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი,

2019

	დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**პუნქტი ი)**		
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**		
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**		
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**		
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი,

2019

	ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.			

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

1. დაწესებულებას პროფესიული პროგრამების მაღალი ხარისხით განხორციელების მიზნით შეძენილი აქვს ელექტრონული სასწავლო მასალები ყველა მოდულისათვის,რაც მნიშვნელოვანია პროფესიული სტუდენტებისათვის გადაცემული მასალის შესწავლის კუთხით;

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1. პროგრამის მოდულები, განხორციელების პროცესში, მეტად ადაპტირებული იქნეს სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან მიმართებაში.

ქვესტანდარტი 1.1. პროგრამის ჩანაწერებში უნდა ფიქსირდებოდეს „მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა“, ნაცვლად „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი,

2019

ქვესტანდარტი 1.4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, გაიწეროს უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტის ჩარიცხვის პირობები.

ქვესტანდარტი 3.3. იმ პროფესიულ მასწავლებლებთან, რომლებიც უნივერსიტეტში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზეც ასწავლიან, გაფორმდეს ცალკე ხელშეკრულებები, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებისა და შესაბამისი მოდულების მითითებით.

-

VII. დაწესებულების მისია

ჩვენი მისიაა საზოგადოებას შევთავაზოთ საავიაციო სფეროში მრავალწლიან გამოცდილებაზე დაფუძნებული და თანამედროვე სასწავლო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე განხორციელებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი და პროფესიული განათლება - საფრენოსნო მომზადების, საავიაციო ინჟინერიისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით; მოვამზადოთ კვალიფიციური კურსდამთავრებულები და ხელი შევუწყოთ მათი პიროვნული თვისებების განვითარებას, რომელიც დაეხმარება მათ ჩამოყალიბდნენ დარგის პროფესიონალებად; კვლევისა და აღმოჩენის კულტურის განვითარებით და ახალი ცოდნის შექმნით ვუპასუხოთ საავიაციო სფეროს ადგილობრივ და გლობალურ გამოწვევებს.

ხედვა

ჩვენი ხედვაა გავხდეთ საავიაციო განათლების სფეროს კონკურენტუნარიანი მოთამაშე შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში. მოვიპოვოთ საერთაშორისო აღიარება ევროპული სტანდარტების მიხედვით სერტიფიცირებული პროგრამების განხორციელებით და უზრუნველვყოთ მათი ხელმისაწვდომობა მეტი ქართველი და უცხოელი სტუდენტისთვის. საავიაციო სფეროში ახალი ცოდნის შექმნითა და გაზიარებით ხელი შევუწყოთ საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს და ქვეყნის ინტეგრირებას საერთაშორისო სივრცეში.

ღირებულებები

საავიაციო უნივერსიტეტის უნიკალურ გამოცდილებას განსაზღვრავს ღირებულებები, რომლებიც ეფუძნება გუნდური მუშაობის, ეთიკური და პასუხისმგებლიანი ქცევის განვითარებისკენ მუდმივი სწრაფვისა და პროფესიონალიზმის, დარგისადმი ერთგულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

თბილისი,

2019

პრინციპებს და რომელთა გაცნობიერებითაც უნივერსიტეტის თითოეული წევრი წარმართავს თავის საქმიანობას მისიისა და სტრატეგიის რეალიზების პროცესში.

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა **შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის** მიერ წარმოდგენილი საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლოატაციის (CPL) ინგლისურენოვანი მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული ვერსია, რადგანაც პროგრამის დამატების განაცხადის წარმოდგენის შემდეგ ცვლილება შევიდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტში/პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში. შესაბამისად, დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე დაგვახვედრა ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანილი პროგრამა. ცვლილებები მდგომარეობდა შემდეგში:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

თბილისი,

2019

- ✓ შეიცვალა კვალიფიკაციის ფორმულირება და შეცვლილი სახით არის შემდეგი: **ასოცირებული ხარისხი საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციაში (CPL);**

- ✓ ძველ ვერსიაში კრედიტი თითოეულ სწავლის შედეგს ცალ-ცალკე ქონდა მინიჭებული, განახლებულ ვერსიაში კრედიტი ენიჭება მთლიანად მოდულს;

- ✓ საათების განაწილების სქემაში თითოეული სწავლის შედეგის ნაცვლად, საათების რაოდენობა ანგარიშდება მთლიან მოდულზე;

- ✓ მატერიალური რესურსის შესახებ ჩანაწერი ამოღებულია მოდულებიდან. მატერიალური რესურსის შესახებ ინფორმაციას მოიცავს პროგრამის დანართი;

- ✓ შეიცვალა პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლების დამტკიცების თარიღები და ბრძანების ნომრები.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციის დებულება ცალკე არ ადგენს მოთხოვნებს მოკლე ციკლის პროგრამების მიმართ, ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მ) ქვეპუნქტის საფუძველზე მოკლე ციკლის პროგრამის შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი (ჩარჩო დოკუმენტი ამავე კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ითვლება საგანმანათლებლო სტანდარტად) და განახორციელა პროგრამის შედარება მის საფუძველთან- შესაბამის ჩარჩო დოკუმენტთან. შესაბამისად, <u>მიგვაჩნია, რომ პროგრამის ჩანაწერებში უნდა ფიქსირდებოდეს „მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა“, ნაცვლად „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა“.</u>

საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლოატაციის (CPL) მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 68 კრედიტს (1700 საათი), აქედან ზოგადი მოდულებია 6 კრედიტის მოცულობის, პროფესიული/დარგობრივი მოდულები - 33.5 კრედიტის, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები - 28.5 კრედიტის. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტს. საფრენოსნო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

--

თბილისი,

2019

პრაქტიკის მოცულობაა 24.5 კრედიტი, რაც გულისხმობს საფრენოსნო მომზადებას 150 ფრენა/საათის მოცულობით.

პროგრამის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი/ ხელშეკრულებები სხვადასხვა დაწესებულებებთან.

ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი თელავში, უნივერსიტეტის კუთვნილ აეროდრომზე („მიმინო"), სადაც მოახდინეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და ინსტრუქტორებთან ინტერვიურება. მოხდა ობიექტის დათვალიერება, შემოწმება, თუ რამდენად არის სამუშაო პირობები და ერთდროულად რამდენი პროფესიული სტუდენტის განთავსება არის შესაძლებელი; შედგა პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუირება.

დაწესებულება კოორდინირებულად მუშაობს საქართველოს საავიაციო სააგენტოსთან, შესაბამისად უზრუნველყოფს ხარისხს პროგრამის განხორციელებისას. დაწესებულებას რეგულაციებში ასახული აქვს პროფესიული საფრენოსნო მიმართულების პროგრამების განხორციელების და შეფასების სპეციფიკა.

ვიზიტის დროს, ასევე, შესაძლებელი გახდა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მასწავლებლებთან გასაუბრება, რამაც აჩვენა, რომ თითოეულ მათგანს ნათლად აქვს გააზრებული მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობის მნიშვნელობა, მიღებული აქვთ მონაწილეობა პროგრამის შესაბამისი მოდულის შემუშავებაში, თემატიკისა და ლიტერატურის შერჩევაში, შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების განსაზღვრაში.

<u>სასურველია, პროგრამის მოდულები, განხორციელების პროცესში, მეტად ადაპტირებული იქნეს სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან მიმართებაში.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლოატაციის (CPL) **ინგლისურენოვანი** მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამით;
2. რექტორის ბრძანებით საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
4. ინტერვიუირებით დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პრაქტიკის ობიექტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

--

თბილისი,

2019

წარმომადგენლებთან, ინსტრუქტორებთან;

5. მემორანდუმით/ხელშეკრულებით პრაქტიკის შესახებ;
6. უნივერსიტეტის ვებგვერდით http://www.ssu.edu.ge

შეფასება:

☐ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე. რაც მოიცავს სასწავლებელის სახელწოდებას, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, საკონტაქტო ინფორმაციას, მისიას, სტრუქტურას, სტარტეგიულ გეგმებს, ინფორმაციას სტუდენტური სერვისისა და ინფრასტრუქტურის შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამებს. საგანმანათლებლო პროგრამებში ასახულია ინფორმაცია მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლოატაციის (CPL) ინგლისურენოვანი მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია ანონსის სახით განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

კატალოგის განახლება ხდება პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. ვებგვერდი უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

თბილისი,

2019

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. უნივერსიტეტის ვებგვერდით http://www.ssu.edu.ge

შეფასება:

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამებ განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლოატაციის (CPL) **ინგლისურენ**ოვანი მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება ჩარჩო დოკუმენტს და თავის მხრივ ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისობა პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. პროგრამაში გათვალისწინებულია ის ცვლილება სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, რომელიც შევიდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში და 1.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში მდგომარეობს შემდეგში:

✓ შეიცვალა კვალიფიკაციის ფორმულირება და შეცვლილი სახით არის შემდეგი: ასოცირებული ხარისხი საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციაში (CPL);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი,

2019

- ✓ ძველ ვერსიაში კრედიტი თითოეულ სწავლის შედეგს ცალ-ცალკე ქონდა მინიჭებული, განახლებულ ვერსიაში კრედიტი ენიჭება მთლიანად მოდულს;
- ✓ საათების განაწილების სქემაში თითოეული სწავლის შედეგის ნაცვლად, საათების რაოდენობა ანგარიშდება მთლიან მოდულზე;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლოატაციის (CPL
2.) **ინგლისურენოვანი** მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამით;
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
3. ინტერვიუირებით პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან;
4. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით;
5. უნივერსიტეტის ვებგვერდით http://www.ssu.edu.ge

შეფასება:

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული წესები გაწერილია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში". პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/ შეწყვეტა/ აღდგენა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სამართლებრივი აქტებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და უნივერსიტეტის სხვა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და უნივერსიტეტის სხვა შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრავს პროგრამის დაშვების წინაპირობებს, რომელთა დაცვის შედეგად პირი მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუს. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად დაინტერესებული პირი ვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

- განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი (კანონიერი წარმომადგენლის მიერ განაცხადის შემოტანის შემთხვევაში დამატებით კანონიერი წარმომადგენლის პირადობისა და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი);
- შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიალურად დამოწმებული ქსეროასლი;
- ორი ცალი ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3/4;
- იმ პროფესიულ პროგრამებისათვის რომელთაც გააჩნიათ წინა საფეხური - წინა საფეხურის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის (შესაბამისი პროფესიული დიპლომი ან/და არაფორმალური განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი) დედანი ან ნოტარიალურად დამოწმებული ქსეროასლი.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შესაძლოა დადგინდეს ტესტირება ან/და გასაუბრება.

<u>სასურველია უნივერსიტეტმა შიდა მარეგულირებელ აქტში გაწეროს უცხოეთში, დოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი ჩარიცხვის პირობები.</u>

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/ შეწყვეტა/ აღდგენის შესახებ ინფორმაცი რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ აისახება შესაბამის რეესტრში აქტი გამოცემიდან 5 დღის ვადაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

--

თბილისი,

2019

რადგანაც აღნიშნულ წესებში ცალე გამოყოფილი არაა მოკლე ციკლის პროგრამაზე ჩარიცხვი განსხვავებული წესი და პირობები, დაწესებულება ამ მიზნით იყენებს პროფესიულ სტუდენტეის ჩარიცხვის ზოგად წესს, რაც არ არღვევს მოქმედ კანონმდებლობას, რადგანა პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტი საფუძველზე, ჯერ კიდევ არაა გამოცემული მინისტრის აქტი ცალკე საგანმანათლებლ პროგრამის სახით განხორციელებული მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზ ჩარიცხვის წესისა და პირობების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით"
2. ინტერვიუირებით დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან;
3. უნივერსიტეტის ვებგვერდით http://www.ssu.edu.ge

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც გაწერილია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში".

უნივერსიტეტი იმ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეცვლისა ან გაუქმების შემთხვევაში, რომელზეც უკვე მიღებულია პროფესიული სტუდენტები, უზრუნველყოფს აღნიშნული პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობით. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გადავიდეს უნივერსიტეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

თბილისი,

2019

ამავე ან მსგავსი მიმართულების სხვა პროგრამაზე, სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროგრამით ან მოახდინოს მისთვის სასურველი პროგრამის არჩევა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროფესიული პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობების დადგენას არსებული პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინებს შორის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის გატარების შესახებ შეცვლილი პროგრამისათვის პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მსგავსი სახის პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმების საფუძველზე, პროფესიული სტუდენტების აღნიშნულ დაწესებულებაში მობილობის ხელშეწყობას. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, თავსებად, მომიჯნავე/მსგავს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველ პროფესიულ სტუდენტს კრედიტები უღიარდება ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტში არ ხორციელდება გაუქმებულ პროგრამასთან თავსებადი, მომიჯნავე/მსგავსი პროგრამა, უნივერსიტეტი ვალდებულია აღნიშნული პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილების შესახებ გონივრულ ვადაში აცნობოს პროფესიულ სტუდენტს, რათა მან შეძლოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა. უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამის გაუქმების შემთხვევაში თუ იგივე პროფესიული პროგრამა არ ხორციელდება სხვა დაწესებულებაში, უნივერსიტეტი ვალდებულია არსებულ პროფესიულ სტუდენტებს პროგრამა დაასრულებინოს მილევად რეჟიმში, თუკი აღნიშნული ქმედება არ ეწინააღმდეგება კანონს. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი ვალდებულია შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

--

თბილისი,

2019

2. ინტერვიუირებით დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან;
3. უნივერსიტეტის ვებგვერდით http://www.ssu.edu.ge

შეფასება:

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ეფუძნება** დემინგის ციკლს: დაგეგმე, იმოქმედე, შეამოწმე, განახორციელე.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ძირითადად ხდება პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოკითხვით/ინტერვიუირებით და სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით. ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ზემოაღნიშნული პირები ავსებენ სპეციალურ კითხვარებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისი თანამშრომელი მონიტორინგის მიზნით ესწრება ლექციებს/პრაქტიკულ მეცადინეობებს. ამასთან, მონიტორინგი ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზეც. ყოველივე ზემოაღნიშნული ინფორმაციის შეგროვების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს არსებულ მონაცემებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან ცალკეული სასწავლო კურსის სრულყოფისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

თბილისი,

2019

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის ანგარიშებით;
3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
4. მოდულური პროფესიული კვალიფიკაციების შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) გზამკვლევით;
5. ინტერვიუირებით დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროფესიული პროგრამების კოორდინატორთან, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან;
6. კითხვარებით;
7. უნივერსიტეტის ვებგვერდით http://www.ssu.edu.ge

შეფასება:

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების სტაბილურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, სათანადოდ პასუხობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და დაგეგმილ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას;

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი,

2019

1	**ქ. თბილისი, ქეთევან წამებული №16** კორპუსი №1 №01. [redacted] კორპუსი №2 №01. [redacted]	**6205. 34კვ.მ** კორპუსი №1 - 3723,36 კვ.მ კორპუსი №2 - 2481,98 კვ.მ
2	**თელავი, სოფ.კურდღელაური** **(თელავის აეროპორტი)** არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა ნაგებობები	 565700 კვ.მ. 1896 კვ.მ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. უნივერსიტეტის უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
2. საჯარო რეესტრის ამონაწერებით;
3. მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინვენტარიზაციის მასალებით.
4. უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსების (თბილისი ქეთევან წამებული №16 კორპ. №1, №2,) აეროპორტ „მიმინოს" საავიაციო-ტექნიკური ბაზა (თელავი, კურდღელაური) სააუდიტორიო ფონდების და სამუშაო კაბინეტების ნუსხით, კაბინეტ-ლაბორატორიების აღწერილობით, საკუთრების დოკუმენტაციით.

შეფასება:

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

თბილისი,

2019

უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ინვენტარი, კერძოდ, სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის სკამებით, მაგიდებით და მერხებით. ამასთან, უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები, ასევე პროექტორებით (31 ცალი) აღჭურვილი აუდიტორიები; კომპანია „Softeksim"-ის მიერ წარმოებული FNPT II+MCC ტიპის კომბინირებული ავიასიმულატორი, რომელიც აღჭურვილია Cessna-152; PA-34III და Beechcraft King Air C90 ტიპის საჰაერო ხომალდების ფრენის პროგრამული უზრუნველყოფით. აგრეთვე უნივერსიტეტი ფლობს თვითმფრინავ-ლაბორატორიას (Boeing 737-200) რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სისტემების, მათ შორის ელექტრონული, სრული კომპლექტით. უნივერსიტეტს გააჩნია ორი კომპიუტერული კლასი, რომლებიც აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. გარდა აღნიშნულისა უნივერსიტეტი ფლობს აეროპორტ „მიმინო"-ს (თელავი, სოფ. კურდღელაური), რომელიც აღჭურვილია სასწავლო თვითმფრინავების ექსპლუატაციისათვის საჭირო ინვენტარით, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესების უზრუნველყოფისათვის, ასაფრენ-დასაფრენი ზოლით (1700*35 = 59500 კვ.მ.)

ასევე უნივერსიტეტს გააჩნია შემდეგი სპეციალური ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით:

- ✓ აეროდინამიკის და ფრენის დინამიკის ლაბორატორია;
- ✓ ავიონიკის ლაბორატორია;
- ✓ საჰაერო ხომალდების რადიოსანავიგაციო სისტემების ლაბორატორია;
- ✓ საჰაერო ხომალდების რადიოკავშირისა და რადიოლოკაციის ლაბორატორია;
- ✓ ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის ლაბორატორია;
- ✓ საჰაერო ხომალდების ელექტრული სისტემების ლაბორატორია;
- ✓ ს.ხ. ელექტრული მანქანებისა და აპარატების ლაბორატორია;
- ✓ საავიაციო ხელსაწყოების ლაბორატორია;
- ✓ ელექტრორადიო სამონტაჟო სახელოსნო;
- ✓ კომპიუტერული ცენტრი #1;
- ✓ კომპიუტერული ცენტრი #2;
- ✓ საჰაერო ხომალდების კონსტრუქციების ლაბორატორია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი,

2019

- ✓ საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის საწაფზე სავარჯიშო ოთახი;
- ✓ ლინგაფონის კაბინეტი;
- ✓ საავიაციო ძრავების ლაბორატორია;
- ✓ ზოგადი ფიზიკის ლაბორატორიაN#1
- ✓ ზოგადი ფიზიკის ლაბორატორიაN#2

უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი კომპიუტერების რაოდენობა, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. პროფესიული სტუდენტების მომსახურებაშია 55 კომპიუტერი.

უნივერსიტეტში მისაღები პროფესიული სტუდენტის კონტინგენტის რაოდენობის განსაზღვრა ხდება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული სასწავლო და დამხმარე ფართები გამოიყენება უმაღლესი და პროფესიული განათლების განხორციელების მიზნებისთვის. კერძოდ.:

წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი A, B და C გარემოებით.

A გარემო (აუდიტორია N204) - აღჭურვილია 28 პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის ინვენტარით, შესაბამისი თვალსაჩინოებებით (ერთ ცვლაში);

B გარემო (აუდიტორია N304) - აღჭურვილია 20 პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლისთვის ინვენტარით, კომპიუტერებით, პროექტორით (ერთ ცვლაში);

C გარემო (თბილისი, ქ.წამებულის ქN16) აღჭურვილია საფრენოსნო საწაფი სიმულატორით, რომელიც უზრუნველყოფს თეორიულ მომზადებასთან ერთად პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული საფრენოსნო უნარების განმომუშავებას.

C გარემო (თელავი, სოფ.კურდღელაური, აეროპორტო „მიმინო") აღჭურვილია 2 სასწავლო თვითმფრინავით, სასწავლო თვითმფრინავების ექსპლუატაციისათვის საჭირო ინვენტარით, ასაფრენ-დასაფრენი ზოლით (1700*35 = 59500 კვ.მ.)

პროგრამის განხპრციელებისათვის განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა დაგეგმილ რაოდენობას, რაც შეადგენს 35 პროფესიულ სტუდენტს 2 სასწავლო წლის განმავლობაში;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

27

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

თბილისი,

2019

1. მატერიალური რესურსის/ინვენტარის/კომპიუტერული ტექნიკის/ მოწყობილობების/ საფრენი აპარატების და სხვ. ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
2. ინტერვიუირებით უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესიული პროგრამების კოორდინატორთან, პროგრამის ხელმძღვანელთან;
3. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
უნივერსიტეტში შექმნილია სწავლისათვის საჭირო, ადეკვატური გარემო. უზრუნველყოფილი ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის მოწოდების უწყვეტი წყაროებით. ამასთან არი ელექტროენერგიის ორი წყარო, ძირითადი და ალტერნატიული. თითოეულ სართულზ განთავსებულია სველი წერტილები, დაცულია სისუფთავე და ჰიგიენის ნორმები. თითოეულ ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. შენობის გათბობა ხორციელდება თითოეულ სართულზ ინდივიდუალური, ბუნებრივ აირზე მომუშავე გათბობის სისტემით. ასევე დამონტაჟებული კონდინციონერები, შშმ პირებისათვის მოწყობილი გარემო, რაც მოიცავს ელექტრო-პანდუსს ლიფტს და ადაპტირებულ სველ წერტილებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაციით;
2. სასწავლო კორპუსებში არსებული ელექტრომომარაგების, გათბობისა და წყალმომარაგების სისტემით;
3. ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მოხმარების გადახდის ქვითრებით;
4. მოწოდებული მომსახურებისათვის განხორციელებული ანგარიშსწორები დამადასტურებელი დოკუმენტებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

--

თბილისი,

2019

5. ვიზუალური დათვალიერებით (შენობის მდგომარეობა და სქემები).

შეფასება:

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა განთავსებულია №1 სასწავლო კორპუსში. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე კვირის გარდა. წინასწარი შეთანხმებით შესაძლებელია ბიბლიოთეკის მუშაობა კვირა დღის ჩათვლით. მას გააჩნია როგორც ბეჭდვითი წიგნადი ფონდი, ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას და უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად. ხდება საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივი განახლება და სრულყოფა.

უნივერსიტეტში ბიბლიოთეკის სივრცეებია: წიგნსაცავი, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცე, შეხვედრების და ჯგუფური მუშაობის სივრცე/სამკითხველო დარბაზი, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე. ბიბლიოთეკის სივრცეებში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო წესები, ასევე უსაფრთხოებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობები და მოთხოვნები. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ერთდროულად 55 მკითხველის მომსახურებას ადგილზე, აღჭურვილია 15 ერთეული ინტერნეტში ჩართული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპიუტერით, პრინტერებით, ასლგადამღებით, ფუნქციონირებს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო პროგრამა Open biblio ელექტრონული სისტემა. ბიბლიოთეკას გააჩნია მუდმივ განახლებადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

--

თბილისი,

2019

ელექტრონული კატალოგი და ელექტრონული საძიებო სისტემა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ბიბლიოთეკის დებულებით;
2. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით;
3. ლიტერატურის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცით;
4. ინტერვიურებით ბიბლიოთეკარებთან ;
5. უნივერსიტეტის ვებგვერდით http://www.ssu.edu.ge;
6. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
უნივერსიტეტის მართვაში და საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი ფართოდ იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ინტერნეტს და შიდა ქსელს, კომპიუტერულ პროგრამებს. უნივერსიტეტს აქვს 31 პროექტორი, 1 ქსეროქსი - ბიბლიოთეკაში, 14 პრინტერი, 14 კომბაინი და 2 ფაქსი. ამასთან უნივერსიტეტს აქვს 111 კომპიუტერი, მათ შორის 55 ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის, დანარჩენი კომპიუტერები კი გამოიყენება დაწესებულების მართვაში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტის ქსელში ჩართული და ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერებით, რომლითაც სარგებლობა შესაძლებელია შეუზღუდავად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საინფორმაციო ტექნოლოგიების შეძენისა და გამოყენებისთვის გაწეული დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

--

თბილისი,

2019

2. უნივერსიტეტის ვებგვერდით http://www.ssu.edu.ge

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს უნივერსიტეტის ,,საქმისწარმოების წესის " შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია 2017 წლის 20 მარტს, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის მიერ.

უნივერსიტეტში შექმნილი დოკუმენტები დასახელების, ფორმისა და რეკვიზიტების შემადგენლობის მიხედვით შეესაბამება საქმისწარმოების ერთიანი წესის მოთხოვნებს, დოკუმენტირების წესების შემცველ სხვა ნორმატიულ აქტებს. დაწესებულებაში საქმისწარმოების განხორციელებას, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, უზრუნველყოფს ადმინისტრაციის დეპარტამენტი.

დეპარტამენტს ევალება შემოსული და გასული კორესპონდენციის, რექტორის ბრძანებების, ხელშეკრულებებისა და უნივერსიტეტის შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვა, შემოსული კორესპონდენციების გადაცემა შესაბამისი პირებისათვის, შემოსულ კორესპონდენციებზე პასუხის გაცემის შესრულებაზე კონტროლი, გასული კორესპონდენციების დაგზავნა, დოკუმენტების დაარქივება, უნივერსიტეტის პერსონალი პირადი საქმეების ორგანიზება. დოკუმენტების აღრიცხვისათვის უნივერსიტეტში არსებობს შემდეგი სახის სარეგისტრაციო ჟურნალები: შემოსული კორესპონდენციის, გასული კორესონდენციის, შრომითი ხელშეკრულებების, სხვა ხელშეკრულებების, რექტორის ბრძანებების, შიდა დოკუმენტაციის და დიპლომების. რეგისტრაციის ჟურნალები აკინძული, დანომრილი და ბეჭედდასმულია.

მნიშვნელოვანი საკითხები, ძირითადი და ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით უნივერსიტეტში მიიღება ან/და გამოიცემა სხვადასხვა სახის განკარგულებითი დოკუმენტი (ბრძანება, დადგენილება, ოქმი და სხვა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. უნივერსიტეტის დებულებით;
2. უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესით;
3. აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალებით;
4. უნივერსიტეტის ვებგვერდით http://www.ssu.edu.ge

შეფასება:

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები (ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში და მის ტერიტორიაზე სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოების, ასევე უნივერსიტეტში არსებული მატერიალური ქონების დაცვის მიზნით ფუნქციონირებს დაცვისა და სამეურნეო სამსახურები.

სამეურნეო სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღრიცხვას, მის მოვლაპატრონობას, უზრუნველყოფს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმების დაცვას და ახორციელებს მონიტორინგს, უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრთხოების ნორმების დაცვას და ახორციელებს მონიტორინგს, უზრუნველყოფს სასწავლო, სამეცნიერო, სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და საავტომობილო ტექნიკური ინვენტარის შეძენასა და მოვლას, უზრუნველყოფს სატელეფონო ქსელების გამართულ მუშაობას, უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალებების მოვლას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაცვის სამსახური უზრუნველყოფს წესრიგისა და დაწესებულების კუთვნილი მატერიალური რესურსების დაცვას, სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოებას უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ძირითადი და სათადარიგო გასასვლელების ხელმისაწვდომობას, სამუშაო საათების დამთავრებისას ახორციელებს ელექტროგანათების გამორთვას (გარდა მორიგე განათებისა), ფანჯრების საკეტების, ლუქების დაზიანების ან ხანძრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ატყობინებს ადმინისტრაციას, პოლიციას და სახანძრო სამსახურს, ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რაც დაკავშირებულია უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოების დაცვასთან.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მუდმივად ახორციელებს სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით ღონისძიებებს, პერიოდულად ტარდება უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებისა და დამხმარე შენობების, ტერიტორიების სახანძრო ტექნიკური შემოწმება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად; სრულად არის დაცული სანიტარული ჰიგიენის ნორმები. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ხელსაბანებით და სათანადო ჰიგიენური საშუალებებით. ფუნქციონირებს გამართული ვენტილაციის სისტემა. თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები, შენობების შიდა და გარე პერიმეტრები კონტროლდება ვიდეო-კამერებით, უნივერსიტეტის შესასვლელში დაცვის სამსახური აღჭურვილია ტურნიკეტებით. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით თბილისში და თელავში გამოყოფილია სათანადო ინვენტარით და მედიკამენტებით აღჭურვილი ოთახები.

პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას უნივერსიტეტში ემსახურება საფრენოსნო მეთოდური ცენტრი და ტექნიკური მომსახურების სასწავლო საწარმო.

სასწავლო ფრენების დაგეგმვისა და მათი უსაფრთხოდ შესრულების მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია **საფრენოსნო-მეთოდური ცენტრი.** საფრენოსნო-მეთოდური ცენტრი უზრუნველყოფს სასწავლო ფრენების შესრულებას უსაფრთხოების ნორმების დაცვით, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

ტექნიკური მომსახურების სასწავლო საწარმო უზრუნველყოფს საჰაერო ხომალდზე პრაქტიკული სწავლების პერიოდში უსაფრთხოების ნორმების დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

თბილისი,

2019

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. უნივერსიტეტის დებულებით;
2. შესაბამისი თვალსაჩინოებებით (სტენდები, აბრები), ცეცხლმაქრებით, ევაკუაციის გეგმებით;
3. სამედიცინო პუნქტებით (სასწავლო კორპუსი №2, ოთახი №120; აეროპორტი „მიმინო“);
4. შესაბამისი ინვენტარის შესაძენად გაფორმებული ხელშეკრულებებითა და შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

შეფასება:

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

უნივერსიტეტში მოწყობილია საავტომობილო პარკინგი, პანდუსი, ელექტრო პანდუსი დ ლიფტი. არსებობს სველი წერტილები სსსმ სტუდენტებისათვის, რომელიც აკმაყოფილებ ყველანაირ მოთხოვნას. აგრეთვე უნივერსიტეტში განსაზღვრულია სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების მომსახურებ უნივერსიტეტის პერსონალის ჩართვით შესაბამისი პირობების შრომით ხელშეკრულებებშ განსაზღვრის გზით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვიზუალური დათვალიერებით;
2. შესაბამისი საშუალებების შესყიდვის დოკუმენტებით;
3. შრომითი ხელშეკრულებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

თბილისი,

2019

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი შპს „პროსერვისთან" 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად ფლობს ინტერნეტ სივრცეს, სადაც განთავსებულია უნივერსიტეტის ქართულ-ინგლისურენოვანი, ინფორმაციის საძიებელის მქონე, ვებგვერდი www.ssu.edu.ge.

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი. უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია და მუდმივად აუმჯობესებს ვებგვერდის ფუნქციონირებას ქართულ და ინგლისურ ენებზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს „პროსერვისთან" 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით;
2. უნივერსიტეტის ვებგვერდით http://www.ssu.edu.ge

შეფასება:

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

--

თბილისი,

2019

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი, შვიდწლიანი (2017-2023წწ) სტრატეგიული გეგმა და ერთწლიანი (2017-2018წწ) სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმები მიზნად ისახავს უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებას, როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, ასევე ადამიანური რესურსის გადამზადებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში. გეგმებში გაწერილია როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფისათვის პრიორიტეტული მიზნები, თითოეულში კი ამოცანები, აქტივობები, შესაბამისი მოსალოდნელი შედეგებით, შესრულების ინდიკატორებით.

აღნიშნული გეგმები ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და განვითარებას, მათი უზრუნველყოფი მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. პერიოდულად მიმდინარეობს სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი.

რამდენადაც ზემოაღნიშნული გეგმების შემუშავების შემდეგ შეიცვალა, როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები, დაწესებულებამ შეიმუშავა და ადგილზე წარმოადგინა 2019-2026 წლების სტრატეგიული და 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმების პროექტები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. უნივერსიტეტის გრძელვადიანი (2017-2023წწ) და ერთწლიანი (2017-2018წწ) განვითარების გეგმებით;
2. უნივერსიტეტის გრძელვადიანი (2019-2026 წწ) და სამწლიანი (2019-2021წწ) განვითარების გეგმების პროექტებით;
3. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით.
4. უნივერსიტეტის ვებგვერდით http://www.ssu.edu.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

--

თბილისი,

2019

შეფასება:

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და ცოდნის განახლებაზე.

პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება უნივერსიტეტის განვითარების შიდა ასპექტებს და გარემო პირობების თავისებურებებს, განსაზღვრავს ადამიანურ რესრუსებთან მუშაობის საფუძველს და მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

დებულებებით გაწერილი სამუშაოების აღწერილობები უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას;

უნივერსიტეტში პერსონალის შერჩევის პროცესი მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
2. უნივერსიტეტის დებულებით;
3. დაწესებულების პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და პირადი საქმეებით.

შეფასება:

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

--

თბილისი,

2019

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზ
უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 2 მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. პროგრამი განმახორციელებელ პირებს აქვთ სათანადო გამოცდილება პროგრამის კონკრეტულ სფეროში; არიან გამოცდილი და სერტიფიცირებული პილოტ-ინსტრუქტორები დ საინჟინრო ტექნიკური პერსონალი.

რამდენადაც პროგრამა ინგლისურენოვანია, შესაბამისად განმახორციელებელი პერსონალი შეჩეულია, არამარტო დარგობრივი, არამედ ინგლისური ენის ფლობის მიხედვითაც. ეს დასტურდება მათ პირად საქმეებში განთავსებული ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით, როგორებიცაა ინგლისური ენის დონის განმსაზღვრელი სერტიფიკატები და/ან სხვადასხვა პროფესიული გადამზადების ინგლისურენოვანი მოკლევადიანი პროგრამების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მცირე ნაწილი არის ამავე დროს აკადემიურ თანამდებობაზე, მაგრამ ისინი ფლობენ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო პრაქტიკულ უნარ -ჩვევებს.

პროფესიული განათლების მასწავლებლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა მონაწილეობა მიიღო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის/საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავების პროცესში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით.

შეფასება:

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი,

2019

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უნივერსიტეტში პერსონალის არჩევის/შერჩევის/დანიშვნის პროცესი განსაზღვრულია შესაბამის პოზიციაზე/პოზიციებზე არჩევის/შერჩევის/დანიშვნის წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და პროცედურა ეფუძნება კომპეტენტურობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

სასურველია, იმ პროფესიულ მასწავლებლებთან, რომლებიც უნივერსიტეტში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზეც ასწავლიან, გაფორმდეს ცალკე ხელშეკრულება, პროფესიული/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებისა და შესაბამისი მოდულების მითითებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით და შრომითი ხელშეკრულებებით.

შეფასება:

☒ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი,

2019

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL)	V	ასოცირებული ხარისხი საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციაში (CPL) 041664	68	68	ინგლისური ენა	თბილისი, ქ.წამებულის ქ.N16	0	35

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართები წარმოდგენილია დასკვნის პროექტთან ერთად.

15.03. 2019

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

--

თბილისი,

2019